

**საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა**  
**GEORGIAN STATE ELECTROSYSTEM**

**ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**

ქ. თბილისი

TBILISI

12.04 2018 წ. N 267

სსე-ს 30.12.2016 წ. N820 ბრძანებაში

„ელექტროენერჯის მრიცხველების დაპროგრამების (კონფიგურირების)

ძირითადი მოთხოვნების“

დამტკიცების თაობაზე ცვლილების შეტანასთან დაკავშირებით

საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის („კომისია“) 17.04.2014 წლის N10 დადგენილებით დამტკიცებული „ქსელის წესების“ 67-ე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად და კომისიის 16.07.2015 წლის N38/3 გადაწყვეტილებით განსაზღვრული ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ (შემდგომში „სსე“), როგორც დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის, მიერ ზედა დონის ესკაა სისტემასთან დადასტურებულად თავსებადი ტიპის ელექტროენერჯის მრიცხველების პროგრამული კონფიგურირებისათვის 30.12.2016 წ. N820 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტროენერჯის მრიცხველების დაპროგრამების (კონფიგურირების) ძირითადი მოთხოვნების“ (შემდგომში „ბრძანება“) სრულყოფის მიზნით:

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:**

1. ბრძანებაში შეტანილი იქნეს ცვლილება და მისი 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

“1. სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ (შემდგომში „სსე“), როგორც დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის, მიერ დამტკიცდეს „ელექტროენერჯის მრიცხველების დაპროგრამების (კონფიგურირების) ძირითადი მოთხოვნები“ ზედა დონის ესკაა სისტემასთან დადასტურებულად თავსებადი ტიპის ელექტროენერჯის მრიცხველების პროგრამული კონფიგურირებისათვის, წინამდებარე ბრძანებაზე თანდართული დანართების სახით:

- ა) დანართი N1 „A2 ტიპის მრიცხველის პროგრამული კონფიგურირების ძირითადი მოთხოვნები“;
- ბ) დანართი N2 „A3 ტიპის მრიცხველის პროგრამული კონფიგურირების ძირითადი მოთხოვნები“;
- გ) დანართი N3 „A1140 ტიპის მრიცხველის პროგრამული კონფიგურირების ძირითადი მოთხოვნები“;
- დ) დანართი N4 „A1800 ტიპის მრიცხველის პროგრამული კონფიგურირების ძირითადი მოთხოვნები“;
- ე) დანართი N5 „EA ტიპის მრიცხველის პროგრამული კონფიგურირების ძირითადი მოთხოვნები“;
- ვ) დანართი N6 „EPQS ტიპის მრიცხველის პროგრამული კონფიგურირების ძირითადი მოთხოვნები“;
- ზ) დანართი N7 „SL7000 ტიპის მრიცხველის პროგრამული კონფიგურირების ძირითადი მოთხოვნები“;

- თ) დანართი N8 „Mercury 230 ტიპის მრიცხველის პროგრამული კონფიგურირების ძირითადი მოთხოვნები“;
  - ი) დანართი N9 „PC44 ტიპის მრიცხველის პროგრამული კონფიგურირების ძირითადი მოთხოვნები“;
  - კ) დანართი N10 „CT3M 3A ტიპის მრიცხველის პროგრამული კონფიგურირების ძირითადი მოთხოვნები“;
  - ლ) დანართი N11 „A1700 ტიპის მრიცხველის პროგრამული კონფიგურირების ძირითადი მოთხოვნები“.
2. ბრძანების 1-ლი პუნქტის უზრუნველყოფის მიზნით, თანდართული რედაქციით დამტკიცდეს ბრძანების 1-ლი პუნქტის „კ“ და „ლ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული:
- 2.1. დანართი N10 „CT3M 3A ტიპის მრიცხველის პროგრამული კონფიგურირების ძირითადი მოთხოვნები“;
  - 2.2. დანართი N11 „A1700 ტიპის მრიცხველის პროგრამული კონფიგურირების ძირითადი მოთხოვნები“.
3. ბრძანების ყველა სხვა დანარჩენი პუნქტი დარჩეს ძალაში.
4. სსე-ს ელექტროენერჯის აღრიცხვის დეპარტამენტს დაევალოს წინამდებარე ბრძანების სსე-ს ოფიციალურ ვებ გვერდზე ([www.gse.com.ge](http://www.gse.com.ge)) განთავსება ბრძანების ხელმოწერიდან 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში.
5. კონტროლი წინამდებარე ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სსე-ს ელექტროენერჯის აღრიცხვის დეპარტამენტის უფროსს დავით დგებუაძეს.
6. წინამდებარე ბრძანება ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე.

დანართი: 7 ფურცლად.

სულხან ზუმბურიძე  
მმართველთა საბჭოს თავმჯდომარე/  
რეაბილიტაციის მმართველ

